ცნობის ფურცელი

№ 2344 შაბათი, 6 დეკემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2344

ფასი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

მარიამ მოსეს ასული, ანტონ ნიკოლოოზის ძე, ლევან ანტონის ძე ფურცელაძეები და ოლღა გიორგის ასული კოლიევისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველნი ორნი—რძალის, მესამე მეუღლის და მეოთხე დის, რომ წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

ანნა გიორგის ასულის ფურცელაძისა

იქნება კვირას, 7 დეკემბერს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში დილის 10 საათზე. (3—2)

დეკანოზი დიმიტრი მახათაძე

შემდეგ ხანმოკლე ავადმყოფობისა, 5 ამა დეკემბერს გარდაიცვალა, რასაც მეუღლე მისი **ეკატერინე კონსტანტინეს ასული** და შვილნი **ნიკოლოზ და გაბრიელ დიმიტრის ძენი, მღვდელი მ. მიხეილ, მარიამ, სოფიო, ელისაბედ, ეკატერინე და ოლღა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. პანაშვიდი იქნება შაბათს $12^1/_2$ ს. და საღამოს 8 საათზედ, ხოლო ცხედრის გასვენება კალოუბანის ეკკლესიაში კვირას, დილის 10 საათზედ. (1—1)

წარ. 27. № 28. **ქართული თეატრი** ტელეფონი № 617.

შაბათს, 6 დეკემბერს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

I

კრეჩინსკის ქორწინება

კომედია 3 მოქმ· სუხოვო-კობილინისა თარგ. ა. ღულაძისა.

II

დატრიალდა ჯარა

ვოდევ. 1 მოქმ. კ. ყიფიანისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: საფაროვ-აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი. ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე, კ. ყიფიანი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თავად-აზნაურთა თეატრი.

კვირას, 7 დეკემბერს, 1 გასტროლი საუცხოვო დასის (70 კაცია)

ვენის ოპერეტისა

დირექცია: ვ. ნ. შულც და ჰენრ. ცელლერ. სამის პრიმადონის: ლონა ნეისა, გუსტი კერნერისა და მინა ფერისა; ცნობილ არტისტის ოტტო საროლისა და არტისტების ფრიც რედვიცის, ოტტო შელლერისა და ფრანც შვაიგერის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება ახალი ოპერეტა, მუს. რეინჰარტისა:

ცუგრუმელა

შინაარსი ოპერეტისა რუსულად დაბეჭდილია პროგრამებზე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ადოლფ ფერრონ.

8 დეკემ.—„ზუზა და იანკუ“, 9 დეკ.—„გაზაფხული ვენაში“, 10 დეკ—„ღამურა“, 11 დეკ.—„გეიშა“, 12 დეკ.—„ბოკკაჩიო“, 13 დეკ.—„შტრაუბინგერი“. ბილეთები კასსაში. (2—6.—1)

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

შაბათს, 6 დეკემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

ტრავიატა

ოპერა 3 მოქმ. ვერდისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: ჩიქოვა, კარტავინა, ლელინა; ბ-ნნი: ფიგნერი, ილიუშჩენკო, ევლახოვი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ი. ა. პოზენი.

ანონსი: კვირას, დილით—„რუსლან და ლიუდმილა“, საღამოს—„ევგენი ონეგინ“; 9 დეკ.—„დუბროვსკი“. (ნ·)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჟიჟინაძე.—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი. - კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

ლ. მ. მოჩინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12 - 1 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. მ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროსკოპიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევის და დარიგების 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი 4. № 27

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 4—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვნაძისა. (წლ.)

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

იაპონიის პარლამენტის კრება

„სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტოს“ დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: „28 ნოემბერი. პარლამენტის გახსნის დროს მიკადომ (იმპერატორმა) სეფე-სიტყვა წაიკითხა და აღნიშნა: იაპონიასა და უცხო სახელმწიფოებს შუა მეგობრული ურთიერთობა თანდათან ძლიერდებაო. მთავრობას ამ ჟამად დიდი საერთაშორისო მოლაპარაკება აქვს გამართული. მინისტრებს ინსტრუქცია აქვთ მიცემული, რომ მოლაპარაკების დროს მშვიდობიანობა და იაპონიის უფლება დაიცვან. სეფე-სიტყვის შემდეგ მიკადო პარლამენტიდან წავიდა. დეპუტატთა პალატამ მაშინვე სეფე-სიტყვის პასუხი შეადგინა და მთავრობას ერთხმად პროტესტი გამოუცხადა. პალატის პასუხში ნათქვამია: იაპონია ასე ძლიერი, როგორც ეხლა არის, არას დროს არა ყოფილა, ამიტომ მეტად სამწუხაროა, რომ მთავრობა ეხლანდელ გარემოების შესაფერისად არ იქცევა, მარტო შინაგან საქმეებისთვის ზრუნავს და სულ არა ცდილობს, რომ იაპონიის ერის გავლენა საერთაშორისო საქმეებში გააძლიეროს. ამავე დროს მთავრობის დიპლომატიური მოქმედება სწორე გზაზე არა დგას. პარლამენტი მხოლოდ იაპონიის ერის სიკეთისთვის ჰფიქრობს, ამიტომ იმედი აქვს, რომ მიკადო ყურადღებას მიაქცევს ამ პასუხს.

პარლამენტის პასუხი მაშინვე მიკადოს ჩააბარეს. ამის შემდეგ სამინისტრომ მალე პარლამენტი დაითხოვა“.

შორეულ-აღმოსავლეთის საქმე

შორეულ-აღმოსავლეთიდან დღესაც მეტად არეული ამბები მოდის. ჩვენ მოხსენებული გვქონდა ცნობა, ვითომ რუსეთი და იაპონია მორიგებულიყვნენ. ეხლა „ტაიმ“-ს დეპეშით ატყობინებენ პეკინიდან: „ხმა გავრცელდა, ვითომ რუსეთი და იაპონია ამნაირად მორიგებულიყვნენ: რუსეთი დასთანხმდა, რომ იაპონიას კორეიაში უპირატესობა ჰქონდეს, იაპონიამ კიდევ თანხმობა გამოაცხადა, რომ რუსეთს კორეიაში ზოგიერთი მცირე უფლება მიეცეს; ამას გარდა იაპონია მანჯურიიდან ჯარების გაყვანას აღარ მოსთხოვს რუსეთსაო. იაპონიის საელჩომ პეკინში გამოუცხადა ჩინელებს, ამნაირ მორიგებაზე არა

ფელეტონი

კერძო და საზოგადოებრივი ცხოვრება

II

დაოჯახიანება და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა

> Eine möglichst zahlreiche Bevölkerung ist nicht ein Hinderniss, sondern ein Mittel des Kulturfortschritts
> (ხალხის სიმრავლე არის არა დაბრკოლება, არამედ საშუალება კულტურულ წინმსვლელობისა)
> ავგუსტ ბებელი.

წინა წერილში ჩვენ გავარკვიეთ თანამედროვე ცხოვრების ურთიერთობათა დაკავშირებულობა და განვმარტეთ საზოგადოების წევრთა შორის ჯარსებული კავშირი და დამოკიდებულება. თეორიულმა მსჯელობამ და რეალურ მოვლენათა ანალიზმა იმ დასკვნამდის მიგვიყვანა, რომ ამ ჩვენს დროში, როცა წარმომდგარია შრომის საზოგადოებრივი განაწილება და რთული სახალხო მეურნეობა, ადამიანის ცხოვრების „კერძო“ და „საზოგადო“ მხარე არაა ხშირად ერთი მეორისგან დაშორებული და განცალკევებული. პირიქით, ეს ორი მხარე ერთმანეთშია მჭიდროდ გადახლართული და ადამიანის კერძო ცხოვრება უსაზოგადოებროდ მოუხერხებელია და წარმოუდგენელი. თანამედროვე ადამიანი ერთ დღესაც ვერ იცხოვრებს ისე, რომ სხვებს არ მიჰმართოს და, მაშასადამე, მათთან განსაზღვრული საზოგადოებრივი განწყობილება და ურთიერთობა არ იქონიოს. და რამდენადაც დრო მიდის, იმდენად კერძო, საზოგადოებისგან დამოუკიდებელ, ცხოვრების ფარგალი ვიწროვდება, ხოლო მხარე სოციალური ფართოვდება და ამით მთელი საზოგადოების შესახები და საყურადღებო ხდება. ხშირად კაცი ისეთ „კერძო საქმეს“ ადგია, რომელიც ბევრის მხრივ სხვებსაც შეეხება და აინტერესებს. ამაზე უფრო „კერძო საქმე“ რაღა იქნება, როგორიც არის დღევანდელ წეს-წყობილებაში კერძო საკუთრების საგანთა მოხმარება და გამოყენება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკმარისია რომელიმე მსხვილმა მრეწველმა თავისი მაშინები დააყენოს, წარმოება უცებ შეაჩეროს, რომ ეს მაშინვე მწვავედ იგრძნოს როგორც უსაქმოდ დარჩენილმა მუშა ხალხმა, ისე მთელმა საზოგადოებამაც. და ეს იმ მიზეზით, რომ თანამედროვე საზოგადოების წევრთ შორის გამართულია რთული ეკონომიური კავშირი და დამოკიდებულება და ერთს უმეოროდ და უმესამოდ ცხოვრებაში თავის გატანა და არსებობა არ შეუძლია. ამიტომაც ადამიანთა კერძო ცხოვრებას და ასეთ თუ ისეთ მოქმედებას ხშირად აქვს დიდი საზოგადოებრივი ინტერესი და მნიშვნელობა.

ერთ ამგვარ საზოგადოებრივ ხასიათისა და მნიშვნელობის საგნად მიგვაჩნია ჩვენ დაოჯახიანება და შთამომავლობის გამრავლება, ოჯახის წარმართვა, შვილების წესიერად გამოზრდა და ცხოვრებისთვის მომზადება. ეს შეადგენს ადამიანის ისეთ „კერძო საქმეს“, რომელიც ძალიან ბევრის მხრით მთელი საზოგადოებისთვის საყურადღებო და მნიშვნელოვანია. ამ საგნის გარკვევას ჩვენ ვეცადეთ ცალკე წერილში („ცხ. ფ.“ № 2317), რომელსაც სათაურად „ოჯახი და საზოგადოებრივი ცხოვრება“ ჰქონდა. იქ გამოვთქვით და, ადგილის უქონლობის გამო, მოკლედ დავასაბუთეთ ორი აზრი: 1, რომ ოჯახების გახშირება და ხალხის გამრავლება საზოგადოდ და განსაკუთრებით ჩვენისთანა პატარა ერისთვის საჭირო და სასარგებლოა; 2, რომ ოჯახის რიგიანად წარმართვა და თავის ერისადმი ზნეობრივ მოვალეობის თანახმად შვილების გამოზრდა სასოგადო მოღვაწეობად ჩასათვლელია.

არც ერთი ეს აზრი არ ეპაშნიკა გაზეთ „კვალს“, რომელმაც მის დარღვევას და მისი გამომთქმელის სასაცილოდ აგდებას ერთი მეთაური წერილი უძღვნა (№ 29). წერილი ეკუთვნის ამ გაზეთის ახალ მოვლენილ „პუბლიცისტს“, რომელსაც პსევდონიმად ბ-ნი ყვირილელი ეწოდება. ეს ყმაწვილი კაცი (ვფიქრობ,—ყმაწვილი უნდა იყოს) სულ რამდენიმე თვეა, რაც ბრწყინვალე ვარსკვლავად მოევლინა „კვალს“, მაგრამ ამ მოკლე ხნის განმავლობაშიაც მოასწრო და თავი შესანიშნავად ისახელა. რითი,—იკითხავთ? ბევრი რამით, განსაკუთრებით-კი თავისი რიხით, გაბედულობით და მეტის მეტ კადნიერებით. Le style—c'est l'homme,—მწერალს მისი ნაწერის კილო ახასიათებსო, უთქვამს ერთ ფრანგს და ამით სწორედ უტყუარი სიმართლე და ჭეშმარიტება გამოუხატავს. ბ-ნი ყვირილელს სავსებით ახასიათებს მისი კილო და საერთოდ წერის მანერა.

„ჩვენ ეს აზრი—სწერს იგი ჩემს შესახებ—ტიპიურად მიგვაჩნია იმ წრისათვისაც, რომელმაც ის შეჰქმნა, და იმ მწერლისთვისაც, რომელმაც ის გამოსთქვა. და რადგანაც არც ამ წრეს და არც ამ მწერალს ჩვენი მკითხველი კარგად არ ჩაჰკვირვებია დღემდის, ჩვენ გვსურს გამოვარკვიოთ დღეს მათი ფიზიონომია“. აქედან თქვენ ხედავთ, რომ ბ-ნი ყვირილელი ჩემს „ფიზიონომიას“ „ჩაჰკვირვებია“. ხედავთ აგრეთვე, რომ ჩემი აზრი რომელიღაც „წრეს“ შეუქმნია. საუბედუროდ, ბ-ნ ყვირილელს დაპირების ასრულება დავიწყებია და თავის წერილის არც ერთ ადგილას არ აქვს ნახსენები ის „წრე“, რომელმაც ჩემი „აზრი შეჰქმნა“. ამიტომ ძნელია დანამდვილებით თქმა, თუ რა წრეს გულისხმობს იგი. მაგრამ, სამაგიეროდ, არ დავიწყებია ჩემი „ფიზიონომიის“ გამორკვევა: წერილის ბოლოში, საცა მრავალმნიშვნელოვანი წერტილებია მიყრილი,

შეგვიტყვია-რაო, იაპონია არას დროს არ დასთანხმდება, რომ ჩინეთის უმაღლესი უფლება მანჯურიაში შემცირდესო. რუსებიც აცხადებენ პეკინში, არც ერთს სხვა სახელმწიფოს ნებას არ მივცემთ, რომ რუსეთისა და ჩინეთის საქმეში გაერიოსო. „ტაიმს“-ის კორესპონდენტი უმატებს: თუ იაპონია და რუსეთი მართლა ამნაირად მორიგებულან, მაშინ ჩინელებს იაპონიისადმი ნდობა აღარ ექნებათ და იაპონიის გავლენა ჩინეთში ძლიერ დაეცემაო.

დეპეშამ გვაცნობა, იაპონიამ რუსეთისაგან საპასუხო ნოტა მიიღოო. გერმანულ გაზ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ს ლონდონიდან ატყობინებენ: „ცნობას, ვითომ იაპონიას რუსეთის პასუხი მოჰსვლოდეს, ბეჯითად უარს-ჰყოფენ. მას აქეთ, რაც კორეის ნავთ-სადგურ ჩემულპოში რუსის 8 სამხედრო გემი მივიდა, საქმე უფრო გამწვავდა“.

„ნოვოე ვრემია“-ს დეპეშით ატყობინებენ ვლადივოსტოკიდან: „29 ნოემბერი. ხმა დადის, მომავალ ბედნიერ დღეების გამო შორეულ-აღმოსავლეთის მთავარ-მართებელი ადმირალი ალექსეევი მომავალ წლის იანვრამდე აღარ წავა პეტერბურგსაო“.

„სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტო“ იუწყება: „30 ნოემბერი. რუსეთის ჯავშნიანი გემები „პეტროპავლოვსკი“ და „პოლტავა“ და ნაღმიანი გემი „ვნუშიტელნი“ გუშინ პორტ-არტურს მივიდნენო“.

პრეზიდენტ რუზველტის ეპისტოლე

შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა წესისამებრ ეპისტოლე მისწერა შტატების კონგრესს. ეპისტოლეში საშინაო საქმეების გარდა, პრეზიდენტი გარეშე პოლიტიკაზედაც საკმაოდ დაწვრილებით ლაპარაკობს. ეპისტოლეში მოხსენებულია: „ამერიკამ ბეირუთში (ოსმალეთში) ესკადრა გაჰგზავნა და დაკმაყოფილება მოითხოვა. ესკადრის გაგზავნამ კარგი ნაყოფი მოიტანა და ამერიკა ოსმალეთთან დღესაც მეგობრულ განწყობილებაშია. პრეზიდენტი დიდის სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ამერიკამ ჩინეთთან ახალი ხელშეკრულობა დასდო და მანჯურიაში მუკდენი და ანდუნგი საერთაშორისო ვაჭრობისათვის გაახსნევინაო. მაგრამ ამერიკის ვაჭრობა რიგზე ვერ განვითარდება, სანამ ჩინეთი ასეთ აწეწილ-დაწეწილ ყოფაში იქნება, თუმცა კი ამერიკის ვაჭრობა ეხლაც მკვიდრ ნიადაგზე დგას. ჩვენი სავაჭრო თუ სამხედრო ფლოტი მაინც უნდა გავაძლიეროთ, ახალი გემები ავაშენოთ და ფილიპეს კუნძულებზე გემებისათვის სადგური დავაარსოთ, თორემ უამისოდ ჩვენი ფლოტი ომის დროს ვერაფერს ვერ გაარიგებს“.

ახალი ამბავი

◆ დღეს, 6 დეკემბერს, მისის იმპერატორებითი უდიდებულესობის **ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძის სახელწოდების დღეს,** ალექსანდრე ნეველის სამხედრო საკრებულო ტაძარში გადახდილ იქნება სადღესასწაულო წირვა და პარაკლისი.

◆ ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრად ამას წინად არჩეული თავ. **ვ. ნ. ჩერქეზიშვილი.**

◆ გუშინ ტფილის საგუბერნიო გამგეობამ შეატყობინა ქალაქის მოურავს, რომ **გუბერნატორმა შეუძლებლად სცნო** ტფილისის საბჭოს ხმოსნის ლაზარ ტიგრანოვის დამტკიცება ქალაქის გამგეობის წევრის თანამდებობაზეო.

◆ ხვალ, 7 დეკემბერს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, ვაჟთა ტფილისის 1-ლ გიმნაზიაში, დანიშნულია ჩვეულებრივი კრება მოსკოვის **არხეოლოგიურ საზოგადოების** კავკასიის განყოფილების წევრთა. კრება მოისმენს ქ. თ. განის მოხსენებას ნაქალაქევში მოგზაურობის შესახებ.

◆ 4 დეკემბერს, ბ-ნ ა. ა. ქალანთარის თავმჯდომარეობით, მოხდა **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრება.** კრებამ შეიწყნარა საბჭოს წინადადება სან-ლუის გამოფენაზე სხვა-და-სხვა მცენარის, სოფლის ნაწარმოების და თესლეულის კოლექციათა გაგზავნის შესახებ. საბჭოს ამ საქმისათვის უკვე გადაუდვია ცოტაოდენი ფული და დაუვალებია მდივნის ე. ო. იოსელიანისათვის შეადგინოს კოლექციები და გაჰგზავნოს გამოფენაზე. კრებამ მიიღო აგრეთვე დადგენილება საბჭოსი იმის შესახებ, რომ სკოლის სამეურნეო კომისიამ დააჩქაროს ხელშეკრულობის დადება სტრუმულოსთან, რომელსაც ნება მიეცა საფუტკრე გამართოს სკოლის ეზოში იმ აზრით, რომ მოწაფეებს მეფუტკრეობა შეასწავლოს. დასასრულ კრებამ მოისმინა მოხსენება აგრონომის ა. დემენტიევისა მცენარის მავნე მტერების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამ მოხსენების გამო კამათმა ღამის 12 საათამდე გასტანა. წევრთა უმრავლესობა არ დაეთანხმა ბ-ნ დემენტიევს და გამოსთქვა სურვილი განაგრძოს კიდევ ამ მხრივ გამოკვლევა.

◆ გუშინ დაიწყო ბაქოს **ნავთის მრეწველთა** საზოგადო კრება. თავმჯდომარეობს კავკასიის სამთო მმართველობის უფროსი ბ. რუგევიჩი,

◆ მომავალ 1904 წლისათვის ამიერ-კავკასიის ქალაქებისა და დაბების უძრავ მამულებზე გაწერილია **შემდეგი გადასახადი:** ტფილისის გუბერნიაში—134 ათასი მანეთი, ერევნისაში—29 ათასი მან., ქუთაისისაში—18 ათასი, განჯისაში—29 ათასი, ბაქოსაში—98 ათასი, ჩერნომორისაში—6 ათასი, ყუბანის ოლქში—45 ათასი, დაღესტნისაში—10 ათასი, ბათუმისაში—42 ათასი, ზაქათალისაში—800 მან. და სოხუმისაში—3000 მანეთი.

◆ ქუთაისის საოლქო სასამართლოს **პროკურორი ბელიავსკი,** „კავკაზის“ სიტყვით, გადაყვანილ იქმნა სამარის საოლქო სასამართლოს პროკურორად, ხოლო ქუთაისში პროკურორის თანაშემწედ დაინიშნა ერევნის საოლქო სასამართლოს პროკურორის თანაშემწე **სმირნოვი.**

◆ „კავკაზ“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებელთა **დირექტორი სოკოლოვი,** თანახმად თავისავე თხოვნისა, სამსახურიდან დათხოვნილია.

◆ ტფილისის სასწავლებელთა კომისიას და ქალაქის სკოლების გამგეებს კრება ჰქონდათ იმ ფულის გასანაწილებლად, რომელიც ქალაქმა გადასდო მოსწავლეთათვის **დღესასწაულებში გასართობის** გასამართავად, ტკბილეულობისა თუ წიგნების დასარიგებლად. კომისიამ დაადგინა, ფული განაწილდეს სკოლების გამგეებს შორის და დაევალოთ ამათ გამართონ გასართობები.

◆ პეტერბურგის **საელექტრო-ტეხნიკო ინსტიტუტის** რექტორმა შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ინსტიტუტის სტუდენტები პროფესორების ხელმძღვანელობით ამზადებენ ხოლმე რუსეთის ქალაქებისათვის პროექტებს ელექტრონით განათებისა, ელექტრონით მოძრავ რკინის გზისა და სხვასაო. ამის გამო რექტორი სთხოვს ქალაქის გამგეობას, გაუგზავნოს სრული გეგმა როგორც ქალაქისა, ისე უმთავრეს ქუჩა-მოედნებისა და ადგილებისა.

◆ 16 დეკემბრისათვის საარტისტო საზოგადოების თეატრში დანიშნულია ქართული წარმოდგენა ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით. წარმოადგენენ „კინ“-ს.

◆ ამას წინად ტფილისის საბაღოსნო სკოლის სამზრუნველო კომისიამ შეატყობინა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ ბევრი საქმე აქვს საბაღოსნო სკოლას გასაკეთებელი თავ. ერისთავის მამულში კასპს, მაგრამ მუშაობას ვერ შეუდგა, რადგან ხელშეკრულობა ადგილის 12 წლით აღების შესახებ ჯერ არ არის ხელმოწერილიო. საბჭომ დაადგინა, დაავალოს სკოლის მზრუნველს ბ-ნ ქანანოვს დააჩქაროს საბჭოსადმი ხელშეკრულობის პროექტის წარდგენა განსახილველად და დასამტკიცებლად.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში, პუშკინის ქუჩაზე, აბრამ კოპინიავიჩის სახლში სახელოსნოდან ვიღაც-ბოროტ-განმზრახველს მოუპარავს 100 ცალი ტყავი, 120 მანეთად ღირებული.

◆ პოლიციელებმა ავლაბარში დაიჭირეს გუშინწინ შულავერის მცხოვრები გეურქ ზურაბოვი, რომელსაც პოლიციის 1 ნაწილში მოეპარა საათი, ხალიჩა და სხვა ძვირფასი ნივთები და მიდიოდა. ვის მოჰპარა ზურაბოვმა ნივთები, ჯერ არ იციან.

რუსეთის ქრონიკა

◆ ხელმწიფე-იმპერატორს კეთილ უნებებია და უმაღლესად უბრძანებია, შორეულ აღმოსავლეთის მართვა-გამგეობის დებულების შემუშავებამდე დაარსებულ იქმნას დროებითი შტაბი ნამესტნიკისა შორეულ აღმოსავლეთში.

◆ როგორც ხმა დადის, გადაუწყვეტიათ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტი საგლეხო კანონმდებლობის რეფორმებისა განხილულ იქმნას ადგილობრივ საგუბერნიო კომიტეტებში, რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებენ ერობათა და თავად-აზნაურობის წარმომადგენლები. („პრავო“).

იგი ამბობს, რომ მე მისთვის და მისიანებისთვის „საკმაოდ გამორკვეული“ ვარ. და იცით როგორი? ვითარცა..... ფილისტერი.

ამ დიაგნოზს, მართალი გითხრათ, არ გავუკვირვებივარ. აბა სად გავიგებდი მე მოწინავე აზრებს, როცა ამათ პირი სულ ყვირილა-ზესტაფონისკენ უქნიათ და ის „წრე“, რომელშიაც ჩემი აზრი „შექმნილა“ თუ შემუშავებულა, სულ ერთიანად დაუვიწყნიათ. კიდევ კარგი, რომ ბ-ნი ყვირილელი კეთილი გულის ახალგაზდა კაცი ყოფილა და ჩემისთანა ფილისტერის სასწავლებლადაც მოუცლია. და, უნდა გითხრათ, ნამდვილ სასკოლო მეთოდით ხელმძღვანელობს. გიმნაზიის მესამე თუ მეოთხე კლასში მოწაფეებს გრიბოედოვს აკითხებენ; მეც მესამე კლასამდის მისულად მივუჩნევივარ,—პირველ სტრიქონებიდანვე გრიბოედოვის სიტყვებით მიხსნის გონებას და შემდეგი ციტატით არღვევს და უარჰყოფს ხალხის გამრავლების მნიშვნელობას: „Чтобъ имѣть дѣтей кому ума не доставало?“ ე. ი., ქართულად რომ ვთქვათ,—შვილების გასაჩენად რა დიდი ჭკუაა საჭიროო. მეც მგონია,—დიდი არაფერი, მხოლოდ ძნელი გასაგებია, რა სიტყვაზე მოსატანი უნდა იყოს აქ ეს შენიშვნა. შეიძლება, რაიმე საქმის გაკეთებას დიდი ჭკუა არ სჭირდებოდეს, მაგრამ სარგებლობით კი ძალიან სასარგებლო იყოს. მაგალითად, წყლის მილთან ბოჭკის წყლით ავსებას და სახლში მოტანას ჭკუა არ ესაჭიროება, მაგრამ მიუხედავად ამისა, წყლის მზიდველთა შრომა ძალიან სასარგებლო მოქმედებაა. თანამდროვე სამრეწველო წარმოებაში, ტეხნიკის განვითარების წყალობით, შრომა ისეა დაყოფილ-დანაწილებული, რომ პატარა ბავშვსაც კი შეუძლია მაშინასთან მუშაობა და სამრეწველო ნაწარმოებთა დამზადება. მაგრამ ამით მშრომელ ხალხს საზოგადოებრივი მნიშვნელობა არ აკლდება და როგორც წინეთ, ისე ეხლაც მის შრომაზეა დაფუძნებული მთელი საზოგადოების არსებობა და საერთო კულტურის განვითარება. ასე ფიქრობენ ჩემისთანა „ფილისტერები“. ალბად სცდებიან, რადგან „კვალის“ რადიკალ სიბრძნის კარაბადინში სულ სხვანირად წერებულა.

ეს არის ბ-ნ ყვირილელის ერთად ერთი „საბუთი“, რომელიც ამტკიცებს ვითომ, რომ ხალხის გამრავლებას არავითარი საზოგადოების წინწამწევი ძალა და მნიშვნელობა არა აქვს. ცოტა ქვევით თავის წერილში იგი იმასვე იმეორებს ქართული პროზით, რაც ზევით სთქვა რუსული ლექსით. „არც ერთი ის გარემოება,—სწერს იგი,—რომელზედაც გვითითებს ბ-ნი გოგიჩაიშვილი, არ წარმოადგენს ერის წინ წამწევ მოვლენას. თავის თავად ვერც ქორწინების გამრავლება, ვერც ის აღზრდა, რომელსაც ბ-ნ გოგიჩაიშვილისაგან აღებული ოჯახი აძლევს შვილს, ვერ გააძლიერებს ერს, ხალხს, საზოგადოებას“. ზევით მოგახსენეთ, რომ ბ-ნმა ყვირილელმა თავი ისახელა თვისი წინდაუხედავ მამაცობით და გაბედულობით მეთქი. აქ თქვენის თვალით ხედავთ, თუ როგორის რიხით და სიმტკიცით ლაპარაკობს იგი. საბუთიო,—იქნება ჰკითხოთ მას. ტყუილად დროს დაჰკარგავთ,—საბუთისთვის ბ-ნი ყვირილელი თავს არ იწუხებს. მან სთქვა,—„ვერ გააძლიერებსო“ და შაბაშ,—მორჩა და გათავდა: ჩვენი „ფილისტერული“ აზრი დაირღვა და „კვალის“ რედაქციის რადიკალიზმმა გაიმარჯვა.

ან-კი ახალ და მოწინავე აზრებით გაჭენთილი ყმაწვილი კაცი თავს როგორ შეიწუხებდა საბუთების მოსაძებნად. განა ეს არ ეყოფა, რომ „გამოარკვევს“ ხოლმე სხვის „ფიზიონომიას“ და „ფილისტერობას“. ფილისტერული აზრი მა რიღასი ფილისტერულია, თუ მის დასარღვევად ვინმეს საბუთების ძებნა და ჭკუის შეწუხება დასჭირდება. ასეთია ეხლანდელ ამეცნიერო „კვალის“ მეცნიერ მეთაურის ლოღიკა.

მაგრამ,—არ ვიცი, სამწუხაროდ თუ სასიამოვნოდ,—ჩვენისთანა ფილისტერებს ასეთი ჩვეულება არა აქვთ. ფილისტერი პატარა კაცია, არის გართული წვრილმანებში და აქცევს თავის ყურადღებას წვრილმან საგნებს, რომლებსაც ბ-ნ ყვირილელისთანა დიად საქმეებით და იდეებით გატაცებული რადიკალი თავის დღეში არ შეხედავს და არ გახდის თავის ყურადღების ღირსად. ის, რასაც ბ-ნი ყვირილელი უმნიშვნელოდ სთვლის, ჩვენ დიდ მნიშვნელოვანად მიგვაჩნია. ცხადია, აქ არის აზრთა შეუთანხმებლობა და წინააღმდეგობა. „კვალის“ „პუბლიცისტი“ უარჰყოფს იმას, რასაც ჩვენ ვექომაგებით და ვიცავთ. მართალია, ამის საბუთებს არ აცხადებს, მაგრამ ეს მას არც ესაჭიროება,—უსაბუთობა ბ-ნ ყვირილელის პრივილეგიაა. სულ სხვაა ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა: ჩვენ იძულებული ვართ, რაიმე აზრის დასამტკიცებლად მკითხველს, რაც შეიძლება, მეტი საბუთები წარვუდგინოთ, რადგან ფილისტერულ აზრების გასაღება საბუთებითაც სჭირს, თორემ უსაბუთოდ ხომ ყოვლად შეუძლებელი და წარმოუდგენელია. მაშ გადავხედოთ საგანს ერთხელ კიდევ ჩვენებურად —„ფილისტერულად“ და გავითვალისწინოთ დაოჯახებისა და ხალხის გამრავლების საზოგადოებრივი აზრი და მნიშვნელობა.

ადამიანის ბუნებრივ, ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებში ერთი ძლიერთაგანი არის სქესებრივი მოთხოვნილება, შთამომავლობის გამრავლება - გავრცელების ლტოლვილება. ეს იცოდა უკვე ოთხასი წლის წინეთ ერთმა გერმანელმა ბერმაც, რომელსაც სახელად ლუტერი ეწოდება. „ვინც ცდილობს,—სწერს იგი,—რომ ბუნებრივი მოთხოვნილება უარჰყოს,—ეწინააღმდეგება ბუნებას. ამგვარ კაცის ცდა ასეთი მიზნისკენაა მიმართული: რომ ბუნება არ ბუნებობდეს, ცეცხლი არ სწვავდეს, წყალი არ ასველებდეს, ადამიანი არ სვამდეს, არ სჭამდეს და არ იძინებდეს“. ეს სიტყვები,—დასძენს ის ავტორი, რომელიც ამ წერილის დასაწყისში გვყავს ნახსენები,—ღირსია იმისი, რომ დაწერილ იქმნეს იმ შენობათა კარებზე, რომლებშიაც ხორცისა და სხეულის ცოდვიანობაზე ხშირად ჰქადაგობენო.

ფილოსოფოსის კანტის სიტყვით, „კაცი და ქალი მხოლოდ ერთად შეერთებულნი შეადგენენ ერთ სრულ ადამიანს,—ერთი სქესი ასრულებს და ამდიდრებს მეორეს“. ამასვე ამბობენ და ამტკიცებენ ყველა ფიზიოლოგები და პსიხოლოგები. მაგალ., დებე ამბობს: „სქესთა შეკავშირება ერთი უდიდეს კანონთაგანია ცოცხალ ბუნებისა. ქალი და კაცი, როგორც ყველა სხვა არსებანი, ამ კანონის გავლენის ქვეშ იმყოფებიან და არ შეუძლიათ მისი უარის ყოფა უიმისოდ, რომ მათმა სხეულმა ეს არ იგრძნოს და ზიანი არ განიცადოს“. დოქტორი ბუში სწერს ერთ თავის სამკურნალო თხზულებაში: „განსაკუთრებით ქალის ორგანიზმისთვის სქესებრივ კავშირის უქონლობა დიდად მავნებელია.“

ამ მავნებლობას ცხადად და ნათლად გვიჩვენებს სტატისტიკა. 1858 წელს ბავარიაში 4899 სულით ავადმყოფი იყო (ორივე სქესისა). აქედან 81%-ს შეადგენდნენ უცოლო მამაკაცები და უქმრო ქალები, ხოლო მარტო 19%-ს დაქორწინებულები. 1882 წელს პრუსიაში 10000 მამაკაცზე მოდიოდა 9 დაქორწინებული სულით ავადმყოფი, 33 დაუქორწინებელი და 32 დაქვრივებული. ასევე 10000 ქალში 9 ქმრიანი სულით ავადმყოფი, 29 დაუქორწინებელი და 25 დაქვრივებული. 1895 წელს პრუსიის სულით ავათმყოფთა სამკურნალოებში იყო სულ 18159 მამაკაცი, რომელთაც დაბადების შემდეგ გასჩენოდათ ეს სენი. ამათგან ცოლიანი იყო 5103, უცოლო (დაუქორწინებელი) 12106, დაქვრივებული 789 და ცოლებისგან განშორებული 161. იმავე წელს ამგვარ სენით შეპყრობილ ქალთა რიცხვი შეადგენდა 16710, აქედან ქმრიანი იყო 4717, უქმრო (დაუქორწინებელი) 9319, დაქვრივებული 2395 და ქმრებისგან განშორებული 279. მკითხველი ცხადად ხედავს, რომ დაუქორწინებელთა რიცხვი აქ ძალიან დიდია შედარებით დაქორწინებულებთან.

იგივე სტატისტიკა გვიჩვენებს აგრეთვე, რომ თავის-მკვლელობა შედარებით უფრო ხშირია დაუქორწინებელ მამაკაცებსა და ქალებში, ვიდრე დაქორწინებულებში. საფრანგეთში

◆ 18 ნოემბერს მოსკოვის სამოსამართლო პალატის სესიას წოდებათა მონაწილეობით განუხილავს საქმე ქ. როსლავლის მესამე ნაწილის ბოქაულის ზასიპკინისა, ამისი საქმის-მწარმოებლის ჩერნიაკოვისა და პოლიციელთა ლევშაკოვისა და დანილოვიჩისა, რომელნიც პასუხის გებაში ყოფილან მიცემულნი სასჯელთა დებულების მე-315 და 347 მუხლის ძალით. როგორც საბრალმდებლო ოქმიდანა სჩანს, 15 იანვარს 1902 წელს, საღამოს 11 საათზე, ბოქაულს ზასიპკინს პოლიციაში მიუწვევია ვაჭრის შვილი კრივალევი და იმისა სახლის პატრონი მოქალაქე გოლდინი. პოლიციაში გამოცხადებისათანავე ბოქაული მივარდნია გოლდინს და მაგრად უცემნია მუშტებით, წიხლებით და რკინის მავთულით. შემდეგ პოლიციელებისა და საქმის მწარმოებელის დახმარებით გოლდინი წაუქცევია იატაკზე, თავზე პალტო წაუხურავს, კისერსა და ფეხებზე დასჯდომია და დაუწყია ცემა. უცემნიათ ისე მაგრად, რომ გოლდინს გონება წასვლია და ველარ გაუგია იატაკზე წაქცევის შემდეგ რა უყვეს. მახსოვს მხოლოდ, სთქვა სასამართლოში გოლდინმა, რომ ჯერ დამიწყო ცემა ბოქაულმა და შემდეგ პოლიციელებმაც. თვალთ დამიბნელდა. არ ვიცოდი, რისთვის მცემდნენ, რა მექნა. დავიწყე ტირილი და ვედრება, ჩემი ცოლი, წვრილი შვილები მაინც შეიბრალეთ მეთქი. ჩემს ტირილზე ბოქაული ზასიპკინი მომვარდა, დამხედა და სთქვა: „ჯერ ცოცხალია, კიდევ შეიძლება ვცემოთო“ და დამიწყეს ცემა. შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი. მხოლოდ ცოლისაგან მაქვს გაგებული, რომ მე ცოცხალ-მკვდარი გაუტანივართ პოლიციიდან და სამი დღე ენა ჩავარდნილი და გონება დაკარგული ვყოფილვარ. მოწმეების ჩვენებით დამტკიცებულა პოლიცის მიერ ჩადენილი ძალმომრეობა. პალატას ბოქაულ ზასიპკინისათვის გადაუწყვეტია ერთის თვით დაპატიმრება, ხოლო დანარჩენნი დამნაშავეებად არ უცვნია.

◆ როგორც „რუსკ. სლ.“ იუწყება, ოლქის სასამართლოს განუხილავს საქმე კრუშევანისა, რომელიც პასუხის გებაში ყოფილა მიცემული კორესპონდენტ ბრიტანომის ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით ცილის წამებისათვის, და გადაუწყვეტია 7 დღით დაპატიმრება.

◆ „რუსკ. ვედ.“ ატყობინებენ, რომ ვლადიმირ-გუბერნსკში სამხედრო ბევრის კენჭის ყრის დროს, 22 და 23 ნოემბერს, პოლიციის განკარგულებით დაკეტილი ყოფილა ყველა არყის დუქნები. რამდენსამე ახლად გასაწვევ ჯარის-კაცს მოუფიქრებია, არყის მაგივრად ესვათ ერთგვარი სპირტი, რომელიც აფთიაქში იყიდება თურმე. სპირტს მოუწამლავს ოცამდე კაცი: რვა კაცი უკვე მომკვდარა, 12 კი საავადმყოფოში წევს.

◆ როგორც „ამურ. კრ.“ იუწყება, აღმოსავლეთ ციმბირში დიდ გაჭირვებაში ყოფილან სათადარიგო ჯარის-კაცნი. ამათ აღარავინ ქირაობს სამუშაოდ, რადგან მოსალოდნელ ომიანობისა გამო შეიძლება ჯარში იქმნან გაწვეულნიო.

◆ ხერსონის გუბერნატორს ელისავეტგრადის ქალაქის საბჭოსათვის მიუცია წინადადება, დაიარსოთ სადარაჯო ცხენოსანი პოლიცია, შემდგარი 12 კაცისაგანო. გუბერნატორს იმით დაუსაბუთებია თავისი წინადადება, რომ ადგილობრივ მკვიდრთ და ათასობით ფაბრიკისა და ქარხნის მუშებს სურვილი აქვთ წესიერების და მშვიდობიანობის დარღვევისაო. გაზეთი შენიშნავს, რომ ამ წინადადების განხორციელება ქალაქს წლიურად 5 ათას მანეთად დაუჯდებაო. დღეს ეს ქალაქი პოლიციის შესანახად ხარჯავს თურმე 40 ათას მანეთს, როდესაც მთელი ბიუჯეტი 290 ათას მანეთს არ აღემატება, და სწავლა-განათლების საქმეზე-კი 24 ათას მანეთს. („რუს. ვედ.“).

სასამართლო

I

სამსახურში ბოროტ-მოქმედების ჩადენა

წარსულ კვირაში ტფილისის სამოსამართლო პალატის სესიამ განიხილა საქმე თემირ-ხანშურის ოლქის უფროსად ნამყოფის პოლკოვნიკის თავ. ვახვახიშვილისა და იმავე ოლქის ტარკინის ნაწილის უფროსად ნამყოფის, კაპიტანის ბამატოვისა, რომელთაც სამსახურის დროს სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედების ჩადენა ჰბრალდებოდათ. მთავარ მართებლის განკარგულებით ამ ორი წლის წინად მთავარ-მართებლის საბჭოს წევრს ი. ვ. მიცკევიჩს დაღესტნის საადმინისტრაციო დაწესებულებათა რევიზია მოუხდენია. მიცკევიჩს აღმოუჩენია ბევრი ისეთი მოქმედება ბრალდებულთა, რომელთა გამო საჭიროდ უცვნიათ თავ. ვახვახიშვილისა და ბამატოვის პასუხის გებაში მიცემა. თავ. ვახვახიშვილს შემდეგი ბოროტ-მოქმედებანი ჩაუდენია: გაუფლანგავს 2400 მანეთი სოფელ სულთანიანგ-იურტის მცხოვრებ ებრაელების მატეტოვებისა და ამ დანაშაულობის დასაფარავად ყალბი ქაღალდები წარუდგენია მთავრობისათვის; გაუფლანგავს აგრეთვე ს. გუბდენის მცხოვრებ ბაკარა-ამირგამზად-ოღლის მემკვიდრეებისა სულ 961 მან., გაუფლანგავს საზოგადო ტყიდან შემოსული 421 მან. და 83 კაპ.; დროზედ არ გაუგზავნია როტმისტრ ტარკოვსკისათვის კუთვნილი 1,463 მან. 23 კაპ.; გაუფლანგავს საზოგადო ფული, 3,000 მანეთამდე, კარაბუდახის სოფლის საზოგადოებისა; გაუფლანგავს 1000 მან.; გამოუტყუებია დურგელინის სოფლის საზოგადოებისათვის 1,200 მან. და სოფელ ფარაულ-იუსუფ-კაჩალაი-ოღლის მცხოვრებთათვის 500 მან.; კანონის წინააღმდეგ დაუსჯია ალხას-ალიკაჩ ოღლი და სხვ. ბამატოვს ჰბრალდებოდა კარაბულახ-კენტის სოფლის საზოგადოების შემოსავალ-გასავლის წიგნებში არ აღნიშვნა იმ 3,000 მან., რომელიც თავ. ვახვახიშვილს გაუფლანგავს, და სხვა დანაშაულობანი. სამოსამართლო პალატამ გამოჰკითხა ამ საქმის გამო 60 მოწმეს. ბევრმა მოწმემ გადაასხვაფერა წინანდელი თავისი ჩვენება. პალატა ორს დღეს მოუნდა ამ საქმის გარჩევას და გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავეებად იცნო თავ. ვახვახიშვილი და კაპიტანი ბამატოვი. თავ. ვახვახიშვილს პალატამ მიუსაჯა ყოველისავე განსაკუთრებულ, პირადათ თუ მდგომარეობით მოპოვებულ, უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და 4 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, ხოლო კაპიტან ბამატოვს სრულიად სამსახურიდან დათხოვნა.

I

გაძარცვა

4 დეკემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე სიღნაღის მაზრის სოფელ ჯუგაანის მცხოვრებთ საბა და მოსე ზედელაშვილებისა, რომელთაც ყაჩაღობა ჰბრალდებოდათ. ამა 1903 წლის 17 თებერვალს ჯუგაანის მცხოვრები იაგორა ამიროვი გამომგზავრებულა ტფილისში. ამიროვს უბის ჯიბეში ჩაკერებული ჰქონია 50 მან. მაჩხაანში ერთს დუქანში შეუხვევია, სადაც ამ დროს ყოფილან ზედელაშვილები. ერთს მათგანს ამიროვისათვის უთხოვნია ღვინო ჩამოესხა. მართლაც ამიროვს მოუთხოვნია ღვინო და როდესაც დაულევიათ, მედუქნისათვის ჩუმად უთქვამს, ფული ჩემზე იყოს, რადგან არ მინდა, სხვებმა ჰნახონ, რომ ფული მაქვსო. უკვე შეღამებულა და ამიტომ ამიროვი უკანვე დაბრუნებულა სახლში. გზაზე წამოსწევიან ზედელაშვილები, რომელთაც ფული წაურთმევიათ. ამის გამო პასუხის გებაში მიცემულნი საბა და მოსე ზედელაშვილები ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორგაში თითოს 6 წლით გაგზავნა. ბრალდებულთ ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებიათ სამოსამართლო პალატაში, რომელმაც 4 დეკემბერს განიხილა ეს საქმე, დამნაშავეებად იცნო ისინი და უცვლელად დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

დაბა-სოფლები

ლარსი (საქართველოს სამხედრო გზა). 24 ნოემბერს აქ მორეკეს კავკავიდან ასი სული საკლავი ხარი ბ-ნ სარაჯიშვილისა, რომელიც მიუდიოდათ ტფილისში. ჯოგი ღამის გასათევად დააყენეს ვაჭარ იობა ღუდუშაურის ბაკში. ღუდუშაურს ისე აქვს ბაკი შემოზღუდული ქვის გალავნით, რომ კაცი ვერას გზით ვერ წარმოიდგენს, თუ ქურდი რასმეს დააკლებს. ამისდა მიუხედავად თავზე ხელაღებულ ქისტებს ვერც ღუდუშაურის ეზო-გალავანი გადარჩათ შეურყეველი. სწორედ გასაკვირველია, რომ ისეთი ქვის კედელი გამოენგრიათ ქისტებს. ბოსლის კედელს, ქვევით მხარეს, სხვისა გაცივებული ეზო აქვს. სისქე კედელს (ღუდუშაურისას) ადლ ნახევარი აქვს, სიმაღლე ოთხი ადლი. აი, ამ სხვისა გაციებულ ეზოდან, შესდგომოდნენ ქისტები კედლის გამონგრევას და თუმცა სახელმწიფო გზა ამ კედელს ზედვე აკრავს და დარაჯი ყაზახებიც ახლო არიან, მაგრამ ისე მოხერხებულად და ჩუმად ემუშავნათ, რომ ხმაურობა არავის გაუგონია. აქედან შესულან. ბოსლიდან ეზოში გასავალი კარის კლიტეც გაუმტვრევიათ, გამოუყვანიათ ორი საკლავი ხარი სარაჯიშვილისა და წაუსხამთ. მეორე დილას ოთხ საათზედ ბიჭებმა დათვალეს ხარები და ორი დააკლდათ. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და იპოვნეს კვალი. ლარსში ახლო სოფელი არსად არის, რომ კაცმა ამისთანა შემთხვევის დროს მიჰმართოს, გარდა დარაჯ ყაზახებისა. წინად ყოველთვის ყაზახები ეხმარებოდნენ ხოლმე გაჭირვებულთ, მაგრამ ეხლა არ ისურვეს. ღუდუშაურმა მიჰმართა თოთხმეტის ვერსის მოშორებით ბალთის მამასახლისს და მის დახმარებით გამოუდგნენ ხარების კვალს. ხარების კვალი იპოვნეს ქისტების სოფელს ჯაირახში. იქიდან გაეტარებინათ მეცხალის სამამასახლისო და ხამაის სამამასახლისოში ისეთ ბილიკებზედ გაეტარებინათ ხარები, რომ ხამ კაცს ქვევითაც გაუჭირდებოდა გავლა.

აქ მცხოვრები

სოფ. ხუმელაგა (ოსეთი). ამასწინად ამ სოფელში მოხდა ერთი საცოდაობა. ამ სოფლის მცხოვრების თასო ცაგაროვის შვილმა შეირთო ცოლად ამავე სოფლელი დოდიკა ქაშაბიევის ქალი. ერთ დღეს მივიდა სიძე სიმამრთან და უთხრა: „ხომ ჰხედავ, შინ აღარაფერი დამრჩა, ერთი ცხენი მაინც მომეცი, რომ ცოტა რამ დავიმუშაო ზამთრისათვის და ოჯახობა გამოვკვებოო. სიმამრმა სიძე კარგათ გალანძღა და გამოიფრინა. მეორე დღეს გაჯავრებული სიძე წავიდა ნახირში და რაც საქონელი მისცა ურვათში სიმამრს, დაირეკა და თავის სახლში მიიყვანა. გაიგო თუ არა ეს დოდიკამ, გაიყოლა თავისი ძმა და შეიარაღებულნი მიუცვივდნენ სიძეს. შეიქნა ჩხუბი და

(1889—91 წ.) 1 მილიონ მამრობითი სქესის მცხოვრებთა რიცხვზე მოდის 435 ცოლიანი თავის-მკვლელი მამაკაცი, 1011 დაუქორწინებელი და 714 დაქვრივებული. ასევე ერთ მილიონ მდედრობითი სქესის მცხოვრებთა რიცხვზე: ქმრიანი თავის-მკვლელი ქალი 108, დაუქორწინებელი 156 და დაქვრივებული—210.

რა თქმა უნდა, როგორც სულით ავათმყოფობის, ისე თავის-მკვლელობის ერთადერთი მიზეზი უცოლობა და უქმრობა არ არის, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ აქ ამ გარემოებასაც თავისი გავლენა და მნიშვნელობა აქვს. პროფესორი კრაფტ-ებინგი სწერს ამ საკითხის შესახებ სხვათა შორის შემდეგს: „ერთი საყურადღებო მიზეზი ქალთა სულით ავადმყოფობისა მათს სოციალურ მდგომარეობაში არის დამარხული. ბუნებით ქალში ძლიერია დედად გახდომის მოთხოვნილება და ამ მოთხოვნილების განმხორციელებელი და დამაკმაყოფილებელი საშუალება ერთად-ერთი ქორწინებაა. მრავალ შთამოებათა და საუკუნეების განმავლობაში ქალის ხასიათი ამ ხრით შემუშავებულა და დამკვიდრებულა. უკვე სულ პაწაწა გოგო ეთამაშება და დედობას უწევს დედოფალას. მაგრამ თანამედროვე ცხოვრებაში, რომელშიაც მოთხოვნილებანი გადიდდა და გაიზარდა, ქალისთვის თანდათან საძნელო ხდება ქორწინებით თავისი სულიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილება. განსაკუთრებით გაძნელებული ქორწინება საზოგადოების უმაღლეს წრეებშია.

„ახლანდელ საზოგადოებრივ წეს-წყობილებაში მამაკაცი თავისუფლად იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას,—მას აქვს სოციალური თავისუფლება. და, ესეც რომ არ იყოს, შეუძლია ისეთ საქმეს მოჰკიდოს ხელი, რომელიც მთელ მის ძალ-ღონეს მოითხოვს და ამნაირად მასში ჰპოვოს ცოლ-შვილისა და ოჯახის სამაგიერო დაკმაყოფილება. მაგრამ სულ სხვაა ქალის სოციალური მდგომარეობა. პატიოსან ქალს არ შეუძლია მამაკაცსავით „თავისუფლად“ მოქმედება. ამიტომ იდუმალად თუ ცხადად ქალში იბუდებს უკმაყოფილების გრძნობა როგორც თავისი თავისა, ისე მთელ ქვეყნიერობის მიმართ. ეშლება ნერვები, ემართება ისტერია და უჩნდება სულით ავადმყოფობა. ამ გარემოებით აიხსნება ის ფაქტი, რომ ქალებს უფრო ხშირად 25—35 წლისას უჩნდებათ სულიერი სენი და გონების არეულობა“.

დოქტორი პლოსი, რომელიც აგრეთვე სპეციალისტია ფიზიოლოგიაში, დიდ მნიშვნელობას აძლევს ქორწინებას ქალის ჯანმრთელობისათვის. „ხშირად შეამჩნევთ ხოლმე,—სწერს იგი,—რომ ქალი, რომელიც უდროვოდ დამჭკნარა და დამღრალა, გათხოვების შემდეგ ხელად იცვლება და იფურჩქნება: ტანის მოყვანილობა ზომიერად უმრგვალდება, ლოყებს ვარდის ფერი უბრუნდება და თვალებს ახალგაზდური სიბჭყვრიალე და გამომეტყველება ეძლევა. ქორწინება ნამდვილი გაახალგაზდების და განახლების წყაროა დედა-კაცთა სქესისათვის“.

ეხლა მკითხველს შევეკითხებით: რას მოწმობენ ყველა აქ ჩამოთვლილი საბუთები და სპეციალისტთა სიტყვები? თუ ძლიერ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ადამიანისთვის აუცილებლად საჭირო და სასარგებლოა, თუ მის დაკმაყოფილებას გავლენა აქვს ადამიანის პსიხიურ ორგანიზაციაზე, სულის ავადმყოფობისა და თავის-მკვლელობის გავრცელებაზე, თუ დაქორწინებას განმანახლებელი და გამაახალგაზდავებელი ძალა აქვს ქალთა სქესისათვის, ე. ი. კაცობრიობის სრულ ნახევრისათვის, თუ ყველა ეს მართალი და დამტკიცებულია სპეციალისტ მეცნიერთაგან, რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ დაქორწინებისა და დაოჯახიანების შესახებ? ყოფილა თუ არა იგი საზოგადოებისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი? არა მგონია, რომ აქ ორნაირი პასუხი შეიძლებოდეს. რამდენადაც ქორწინების გახშირება ხელს უწყობს ზემოხსენებულ ცუდ მოვლენათა შემცირებას, ზნეობის გაფაქიზებას და ადამიანთა ბიოლოგიურ თუ სოციალურ ცხოვრების განკარგებას და გაუმჯობესობას, იმდენად იგი აუცილებლად საჭირო და სასარგებლოა მთელი საზოგადოებისთვის. ეს ისე ცხადია, რომ ბავშვის გონებისთვისაც-კი მისაწვდომი და გასაგებია.

დაოჯახიანებას ახლავს ამას გარდა მეორე მხარეც, რომელიც საზოგადოებისთვის ამაზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და აურაცხელ სარგებლობის მომტანია. ეს არის—შთამომავლობის წარმოშობა, ხალხის შეუწყვეტელი გამრავლება და გადიდება. „ოჯახის საშუალებით,—ვწერდით ჩვენ წინეთ,—საზოგადოებას მუდამ ახალი ელემენტი ემატება, რომელიც იჭერს ძველების ადგილს, იწყებს მოქმედებას, მუშაობას, ანახლებს ძველ ცხოვრებას და ჰქმნის კულტურულ წარმატებას“. ამ სიტყვებისთვის ბ-ნმა ყვირილელმა გაუსწორებელი ფილისტერი გვიწოდა და გრიბოედოვის ლექსით ჭკუა გვასწავლა. „მოლიერის ერთმა გმირმაო—ოხუნჯობს ის—მხოლოდ სიბერის დროს შეიტყო, რომ ის მთელ თავის სიცოცხლეში პროზით ლაპარაკობდა. შენც, თუ შვილები გყავს, მხოლოდ ახლა შეიტყობ, რომ მათი გაჩენით საზოგადო მოღვაწეთა რიცხვში ჩაეწერე“. რასაკვირველია, მე არსად არ მითქვამს, რომ შვილების გაჩენა საზოგადო მოღვაწეობას ნიშნავს მეთქი. რა ჰქნას ახალგაზდა რაინდმა, თუ ოხუნჯობით არ გადააფუჩეჩოს. მე ვთქვი მხოლოდ, რომ ხალხის გამრავლება საზოგადოების წინსვლას ხელს უწყობს, რადგან მრავლდება მუშა და მომქმედი ელემენტი. და, როგორ გგონიათ,—ბ. ყვირილელმა ეს სიტყვებიც გადააუკუღმართა და მომაწერა, ვითომ მე ქორწინებისა და ხალხის „სიმრავლეს ყოვლად მხსნელ“ პანაცეად ვთვლიდე. ასეთ ლოღიკის პატრონს რომ უთხრათ: პური ადამიანის საზრდოაო, მაშინვე გკიჟანებს,—გეტყვის: არ გცოდნია, რომ პურს გარდა სხვა რამეც ასაზრდოებს ადამიანსო. არ ვიცი,—როცა მე ლოღიკის კურსს გავდიოდი, მაშინ ამგვარ დასკვნას ულოღიკობა ეწოდებოდა. ალბად, მას შემდეგ მეცნიერებაში ცვლილება მოხდა და ჩემამდის აღარ მოაღწია.

მაგრამ ამ ცვლილებას არ მიუღწევია, როგორც სჩანს, შუაგულ ევროპაში მცხოვრებ ბებელამდინაც. ხალხის სიმრავლეს ისიც ისეთსავე მნიშვნელობას აწერს, როგორც ჩვენ. რა თქმა უნდა, ბებელის ნაწერები ჩვენ გუშინ და გუშინ-წინ არ გაგვიცვნია და თუ დღეს მისი ერთი წინადადება ამ წერილის სათაურში ამოვწერეთ,—მხოლოდ ბ-ნ ყვირილელის საყურადღებოდ და მკითხველის დასარწმუნებლად, რომ ჩვენი მოკამათე იმ მწერალსაც არ იცნობს, რომლის მოძღვრების ცოდნას თავგამოდებით ჩემობს.

„ხალხის მატება და გამრავლება—სწერს იტალიელი ეკონომისტი ლორია (Problèmes sociaux contemporains)—ძალას ატანს ადამიანებს, წარმოება გაადიდონ და გარეშე ბუნებასთან ბრძოლის ენერგია გააძლიერონ. ადამიანის ჭკუა-გონება იძულებული ხდება წარმოების უკეთესი მეთოდი გამოიგონოს და ეკონომიური ურთიერთობა გააუმჯობესოს“.

ხალხის ზრდას და გამრავლებას, გარდა ეკონომიურისა, დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ჩვენისთანა პატარა ერისათვის. ბ-ნი ყვირილელი, რასაკვირველია, ამის თანახმაც არაა, ხოლო რაზეა მისი უთანხმოება დაფუძნებული, ამას, ჩვეულებისამებრ, არ გვიმხელს და არ გვიგებინებს. სამწუხაროდ, აქ ადგილი აღარ გვრჩება ამ საგანზეაც მოვილაპარაკოთ და იძულებული ვართ ამის შესახებ წინანდელ წერილში ნათქვამს დავკმაყოფილდეთ.

დასასრულ ოჯახს ახლავს კიდევ ერთი მხარე, რომელიც დიადი მნიშვნელობისაა მთელ საზოგადოებისა და ერისათვის. ესაა შვილების აღზრდა,—ისეთი სფერა კერძო ოჯახურ ცხოვრებაში, სადაც მეოჯახეს შეუძლია შეგნებულად თვალსაჩინო სარგებლობა მოუტანოს თავის ერს და ნამდვილ საზოგადო მოღვაწედ მისაჩნევი და სალიარებელი გახდეს.

ამას ჩვენ დაწვრილებით შემდეგ (უკანასკნელ) წერილში გავარკვევთ.

ფ. გოგიჩაიშვილი

ხანჯალ-ჯოხთა ტრიალი. სიძეს გამოუშველა ბიძა ამზორა, არა იმ აზრით, რომ ჩხუბში მონაწილეობა მიეღო, არამედ დასამშვიდებლად. მაგრამ, რო იტყვიან „ჭირი მართალთაო“, სწორეთ ისე დაემართა: დოდიკას ძმამ ჩასცა მუცელში ხანჯალი და ამზორა იქვე გაათავა. საბრალოს შვიდი წვრილი შვილი დარჩა. ასეთ ალალმართალ სისხლის ღვრა და მოსისხლეობის ჩამოვარდნა ოსებში ურვათის გამოისობით არ ახალია, ძველია.

ქართველი ოსებში

სოფ. ბათაყო (ოსეთი). რამდენად მტკიცედ მისდევენ სისხლის აღებას ოსები, შემდეგი მაგალითიდანაც სჩანს. ბათაყოში მცხოვრებს ასაგეს თავის მეზობლის სისხლი ემართა. ერთ დღეს ასაგეს გაედაეკრა შინაური არაყი, დაეღუნა თავი და შევარდნილიყო მოსისხლის სახლში. სახლში იმ ჟამად არავინ შეესწრო, გარდა ერთის ცამეტის წლის ქალისა. ქალმა შეხედა თუ არე ასაგეს, შესჭყივლა. „შენ აქ რა გინდა, ჩემი ძმის მკვლელს, გადი დაიკარგე აქედანაო“. არ გავალაო, მიუგო ასაგემ. არ გახვალ და უფრო კარგი, მაშ განგებამ მოგიყვანა, რომ ჩემი ძმის სისხლი ავიღოვო, უთხრა ქალმა, საჩქაროდ კედლიდან რევოლვერი ჩამოიღო და დასცა გულში. ასაგე იქვე გადაიქცა. ეხლა იწექი, ნუღარ გახვალო, უთხრა ქალმა. მკვდარს ასაგეს თავი ანება, გაიქცა სოფლის სამმართველოში და გამოუცხადათ: ჩემი ძმის მკვლელი ასაგე შინ შემომივარდა, ვეხვეწე, არ გავიდა გარეთ. მე ის მოვკალი, ძმის სისხლი ავიღე და ეხლა რაც გინდათ, ის მიყავითო.

აქაური

ზემო-აკეთი (გურია). ამ ჟამად ჩვენში ძლიერ გავრცელებულია ღორის ჭირი. იშვიათია ისეთი მოსახლე, რომელსაც ამ ჭირისაგან ზარალი არ ჰნახვოდეს. ღორების ზარალს აღარ ვჩიოდით, საუბედუროდ, ღორებს გარდა სხვა ცხოველებიც, იხოცებიან. მაგალითად, კატა და ძაღლი, რომელნიც სჭამენ მკვდარ ღორის ლეშს. სხვათა შორის, ეხლა ახალი წელიწადიც მოახლოვდა და გურული უღოროდ კალანდობას ვერ გასძლებს. ბევრმა ღორმა მოიხადა ამნაირი ჭირი და თუმცა ძლიერ გამხდარია, მაგრამ ჩვეულებისამებრ ასუქებენ და ახალ წლისათვის ინახავენ. შეიძლება ამის გამო ჭირი ადამიანსაც გადაედოს.

კუკულაძე

ს. მარტვილი (სამეგრელო). 29 ნოემბერს, ღამის თორმეტ საათზედ, ცეცხლი წაეკიდა მღ. მელიტონ გეგეჭკორის ბოსელსა და სამზარეულოს. ცეცხლის გაჩენა გვიან გაიგეს. ამისათვის ვერაფერი უშველეს შიგ დაბმულ საქონელს. დაიწვა ცხენი, ძროხა, ღორი, ქათმები და საოჯახო მოწყობილებები. აქედან ცეცხლი გადავიდა სასიმინდეზედ და დაიწვა სამასი ფუთი სიმინდი, მთელი წლის სარჩო; ერთი ტარო სიმიდიც არ დარჩენია პატრონს.

—ძე

სოფ. ფანფალეთი (გურია). წელს ჩვენ სოფელში შედარებით კარგი მოსავალი იყო სიმინდისა, მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, პეპელა გაუჩნდა. მეორე წელიწადია, ეს ჭირი გაუჩნდა სიმინდს და დიდ გაჭირვებაში ჩაავდო მცხოვრებნი, რადგან ერთად-ერთი წყარო სიმინდის მოსავალია ჩვენში. თითქმის სამ წელიწადზე მეტია, რაც განიზრახეს ახალი ეკკლესიის აშენება, რადგან არსებული ერთობ ძველია, მაგრამ განზრახვა განზრახვად რჩება და ამ კეთილ საქმეს არაფერი ეშველა. მრევლი ორ დასად გაიყო: ერთ დასს ჰსურს აშენდეს ეკკლესია, სადაც ძველი არსებობს, რადგან მშრალი და ძლიერ კარგი საეკკლესიო ადგილია; მეორე დასი თხოულობს გადატანას, რადგან მათთვის ახლო იქნება, მაგრამ ისეთი ტბები დგება ამ ადგილებში, რომ არა თუ ეკკლესიის აშენება, არამედ გავლა რომ დაგჭირდეს კაცს, თავ-ბედს გაწყევლინებს. ერთი რომ ადგილათ არ ვარგა საეკკლესიოდ და მეორე მრევლი ერთობ ღარიბია, არ შეუძლია, ადგილის ყიდვა და ზედ გალავნის შემოვლება. მათთვის ისიც საძნელოა, უბრალო ხის ეკკლესია ააგონ.

გ. ანეტაშვილი

წვრილი ამბები

გამოდგნენ თუ არა ქალები? მოგეხსენებათ, ქალმა გზა სხვა-და-სხვა საქმისა და ხელობისაკენ პირველად ამერიკაში გაიკვლია. ოჯახის კარჩაკეტილობა პირველად იქ დაირღვა და ქალი კერას ყველაზე ადრე იქ მოშორდა. არ არის დღეს ისეთი ხელობა, სამუშაო და პროფესია, რომელზედაც ქალს ამერიკაში ხელი არ მიუწვდებოდეს. ყოველ გვარ ადგილს აძლევენ ქალებს. ერთ-ხანად ისეთმა სიომაც დაჰბერა, რომ ყველგან ქალს აძლევდნენ უპირატესობას. განვლო დრომ, დაუკვირდნენ ამერიკაში ქალების მუშაობას და.., დარწმუნდნენ, რომ ქალი ბევრად ჩამორჩება კაცს. რეაქცია დადგა. ეხლა ყველგან ემდურებიან თურმე ქალებს. უფრო ხშირად და ხშირად ისმის, რომ ქალები მექანიკურად მუშაობენ, არ უკვირდებიან საქმეს, ძალიან ბევრს ლაპარაკობენ სამსახურის დროს, ატყუებენ მთავრობას და უფროსებს ათას სხვა-და-სხვა ნაირ ავადმყოფობის მოგონებით და, დასასრულ, ადვილად ანებებენ თავს მუშაობასა და სამსახურს. ამას გარდა ქალები თავიანთ უფროსებისა და ამხანაგებისაგან თხოულობენ მეტად სალონურ, კავალერულ (თუ შეიძლება ასე ითქვას) დამოკიდებულებას, ურთი-ერთობას. ამხანაგურად, უბრალოდ და მარტივად რომ ქალს ჰკითხო ან დაავალო რამე, ეწყინება. უსათუოდ უნდა ფეხი ფეხს შემოჰკრა, დიდი ბოდიში მოიხადო და შემდეგ გააკეთებინო საქმეო. ასე ამბობენ ამერიკელნი. ჩვენ ჯერ საკმაო გამოცდილება არა გვაქვს და ვერაფერს ვიტყვით. ყოველ შემთხვევაში საბუთი არა გვაქვს, ჰქვიან ამერიკელებს არ დავუჯეროთ.

რას იღებენ მწერლები. მორლეიმ, ავტორმა ამას წინად გამოცემულ გლადსტონის ბიოგრაფიისა, თავის შრომაში მიიღო 100,000 მანეთი. მაკოლეიმ ორი ამდენი, ე. ი. 200 ათასი მანეთი, მიიღო „ინგლისის ისტორია“-ში. მოდის მწერალმა ქალმა გემფრი უორდმა თავის ერთ რომანში („მარსელ“) 140 ათასი მანეთი აიღო. პუბლიცისტიკაში ყველაზე დიდი სასყიდელი რანდოლფ ჩერჩილს აუღია: აფრიკიდან გამოგზავნილ 20 წერილისათვის „დეილი ქრონიკლი“-საგან ჩერჩილმა მიიღო 20 ათასი მანეთი. ნანსენმა იმავე გაზეთისაგან მიიღო 10 ათასი მანეთი ერთ დეპეშაში. დეპეშა 1,500 სიტყვას შეიცავდა. იმავე ნანსენმა დასწერა სტატია 15,000 სიტყვისაგან და მიიღო 40 ათასი მანეთი. თავის წიგნში, რომელშიაც აღწერილი იყო ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ მოგზაურობა, ნანსენმა მიიღო 400 ათასი მანეთი. პოეტი რიხარდ კიპლინგი თითო სიტყვაში იღებს 50 კაპ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 დეკემბერი.

პეტერბურგი. სან-ლუის მომავალ საერთაშორისო გამოფენის რუსეთის განყოფილების კომისარმა მიჰმართა რუსეთის ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საზოგადოებას და სთხოვა, ბეჭდვითი საქმის განყოფილებაში რუს ექსპონენტებსაც მიაღებინეთ მონაწილეობაო. საზოგადოება სთხოვს გამოფენაში მონაწილეობის მსურველთ, მიჰმართონ საზოგადოების მდივანს. ადრესი: პეტერბურგი, ზვენიგოროდსკაია, 20. ეს გამოფენა 1904 წელს 17 აპრილს გაიხსნება.

ტუაპსე. ნოვოროსისკში სასამართლოს განუხილავს საქმე სააღდგომოთ ტუაპსეში მომხდარ უწესოებისა, რომელიც გამოწვეული იყო რუსებსა და ოსმალებ შორის არსებულ ეროვნულ სიძულვილითა და მენავეთა კონკურენციით. რუსებისა და ოსმალების შეტაკების დროს მოკლული იყო 4 მუშა. ბრალდებული ოსმალები გაიპარნენ. სასამართლომ მუშებს გადაუწყვიტა უფლებათა ჩამორთმევა და რვა-რვა თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

ტამბოვი. საგუბერნიო საერობო კრებამ გადასდო 1500 მანეთი ტამბოვში უპატრონო ბავშვთათვის სასოფლო-სამეურნეო სკოლის დასაარსებლად და 3 ათასი მანეთი სოფლებში ბავშვების თავშესაფარის გასამართავად; აგრეთვე დაადგინა, ვიშუამდგომლოთ, უოველ კვირეულ საერობო გაზეთის გამოცემის ნება დაგვრთონო.

ვლადიმირი. საგუბერნიო საერობო კრებამ ვიაზნიკოვის ერობის შუამდგომლობა მეორე საარჩევნო კრებაზე გლეხ-ხმოსნების რიცხვის გამრავლების შესახებ არ შეიწყნარა. აგრეთვე უარ-ჰყო საგუბერნიო გამგეობის წინადადება, რომ სოფლის საზოგადოებათ უფლება მისცემოდა პირდაპირ ხმოსნების არჩევისა და არა კანდიდატებისა.

ასხაბადი. შუა აზიის რკინის გზის სამმართველოს კასიდან 102 ათას 700 მანეთის ქურდები აღმოაჩინეს; უმთავრესი დამნაშავეა კასირი, მატვეევის საბირჟო არტელის წევრი სოროკინი. ფული წინდაწინვე ყოფილა წაღებული; ბოქლომი ჩაუმტვრევიათ და დარაჯი შეუკრავთ იმ აზრით, რომ კვალი დაებნიათ. 100 ათასი მანეთი იპოვეს. სოროკინი შეძლებული კაცია და ქურდობის მიზეზი არტელის შორის ძიება ყოფილა.

ყაზანი. საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ, რომ ლიუბერცი-მოხანის რკინის გზიდან კასიმოვზე რკინის გზის შტო გაიყვანონო.

კოსტრომა. საგუბერნიო კრებამ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ, რომ სახელმწიფო ბანკმა ერობას 20 ათას მანათის კრედიტი გაუხსნას შინამრეწველობისათვისაო.

ბერლინი. 3 დეკემბერს დილით დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე პარიზიდან მოვიდა და რუსეთის საელჩოში ჩამოხტა. რუსეთის ელჩმა საუზმე გამართა. საუზმე მიწვეულები იყვნენ საელჩოს მოხელენი, გენერალ-ადიუტანტი ფონ-ვერდერი და თავადი ანტონ რაძივილი. ვახშამად მიწვეულება იყვნენ იმპერიის კანცლერი, კაბინეტების უფროსები, რუსეთის ელჩი და რუსეთის საზღვაო და სამხედრო აგენტები.

ვილდპარკი. დიდი მთავარი საღამოს 7 ს. 45 წ. მოვიდა და ახალ სასახლეში წავიდა.

ვაშინგტონი. ამერიკის ელჩის შუამდგომლობით, შეერთებულ შტატების მთავრობა კორეაში სამხედრო გემს გაჰგზავნის, რადგან იქ მუშების აჯანყებამ ხალხი ძლიერ აალელვა.

ათინა. თეოთოკისს მეფემ წინადადება მისცა, ახალი სამინისტრო შეადგინეთო.

ბერნი. შვეიცარიის კავშირის კრებამ 1904 წლისათვის კავშირის პრეზიდენტად კონტესე აარჩია, ვიცე-პრეზიდენტად—რუშე.

ბელგრადი. ნოვაკოვიჩმა წინადადება მისცა საერო კრებას, ძველ-სერბიიდანა და მაკედონიიდან გადმოხვეწილთ 500 ათასი ფრანკი დავურიგოთო.

ბერლინი. დანიის მეფე ქრისტიანი და პრინცი ვოლდემარი 3 დეკემბერს საღამოთი მოვიდნენ აქა.

5 დეკემბერი.

როსტოვი დონზე. ამბავი მოვიდა, რომ აზოვის ზღვაზე გემებს სხვა-და-სხვა უბედურება ემართებათო; რამდენიმე გემი გაირიყა; ვოლგა-დონის საზოგადოების გემი „დონეცი“ მერვე დღეა, რაც დონის შესართავში გაჩერდა; მგზავრები და უფროსი ფეხით წავიდნენ ტაგანროგს. დონის მაიაკის კომანდირიც ასე მოიქცა.

იოკოჰამა. ტოკიოში წარჩინებულმა სახელმწიფო მოღვაწეებმა საგანგებო თათბირი მოახდინეს რუსეთის საპასუხო ნოტის თაობაზე. ამ თათბირში მონაწილეობა მიიღეს მარკიზ იტომ, მინისტრებმა და მთავარ-შტაბის უფროსმა გენერალმა კოდამამ.—ტოკიოს საადმირალოში ხელახლად გაცხარებული მუშაობა დაიწყო, რადგან იქნება ფლოტით დემონსტრაცია მოახდინონ.

სოფია. (საკუთარ კორესპონდენტისაგან). ბოლგარიამ პორტას შეატყობინა, რომ სამშობლოში დაბრუნებულ მაკედონელებს ოსმალეთის მოხელეები მეტად აწუხებენო.

ტოკიო. ჯერ არ იციან, რა გადასწყვიტეს სახელმწიფო მოღვაწეებმა გუშინდელ თათბირის დროს. უმეტესობა იმ აზრისაა, რომ თუ რუსეთის პასუხი მოსაწონი არაა, სახელმწიფო მოღვაწეები ერთხელ კიდევ და უკანასკნელად შეეცდებიან რომ საქმე მშვიდობიანად გადასწყდეს.

კიშინევი. საღამოს 10 საათზე დასრულდა კამათი ებრაელების წინააღმდეგ არეულობათა საქმის თაობაზე. ხვალისათვის მოელოდებიან პალატის რეზოლიუციას.

სოფია. (ოპოზიციის წრეებიდან). სტანჩოვი გაემგზავრა პეტერბურგს თანამდებობის აღსასრულებლად.—საერო კრებამ კიდევ ოპოზიციის ორ დეპუტატის არჩევანი უკანონოდ სცნო.

იაკუტსკი. განიხილეს საქმე [illegible] მოქალაქის ლუკინისა, რომელიც [illegible] გზაში იყო მიცემული მოსამართლეთა შეურაცხყოფისათვის. სასამართლომ გადაუწყვიტა ლუკინს ყოველისავე განსაკუთრებულ უფლებათა ჩამორთმევა და სატუსაღო რაზმში წლინახევრით გაგზავნა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლოზით 1 მანათიდან 3-მდე.

გამოვიდა და დაურიგდა წიგნების და კალენდრების გამყიდავ მაღაზიებს

1) კედლის კალენდარი

(პირველად სურათებიანი გამოცემა)

შედგენილი კ. თავართქილაძის მიერ

კალენდარი არის დაბეჭდილი კარგს ქაღალდზე, 100-დე შესანიშნავი კაცების სურათებით და ტიპებით. გაუმჯობესებულია საკალენდრო და გამოსადეგი ცნობებით, ჩართული აქვს სხვათა შორის მაჰმადიანთა და ებრაელთა საკალენდრო ცნობები. კალენდრის კარდონი დამშვენებულია ჩვენი მოღვაწეების სახეებით (ფერადი წამლებით) და ფასი კი იგვე აქვს 40 კაპ.

---

2) საყოველთაო კალენდარი

მდიდარი სალიტერატურო და სამეცნიერო განყოფილებით. 300 გვერდამდე ფასი 20 კაპ.

ვინც გასაყიდად წაიღებს, იმას დაეთმობა 30—40 პროცენტამდე.

ადრესი ჩვენი უმთავრესი საწყობისა: Тифлисъ, Сергіевская ул. д. Мирзоева, К. Таварткиладзе.

იქვე იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები დიდის პროცენტების დათმობით. მსურველთ გაეგზავნებათ ფას-დადებითაც. (5—1)

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

„Тифлисскій Листокъ“

(годъ изданія XXVII-й).

Въ 1904 году, какъ и раньше, газета будетъ выходить ежедневно, заключая въ себѣ слѣдующіе отдѣлы и подъотдѣлы: 1. Дѣйствія и распоряженія правительства. 2. Телеграммы отъ собственныхъ корреспондентовъ и „Россійскаго телеграфнаго агентства“ 3. Статьи по общимъ краевымъ вопросамъ, а также по вопросамъ городской жизни и городского самоуправленія. 4. Внутреннія извѣстія. 5. Иностранныя извѣстія. 6. Мѣстный отдѣлъ (хроника тифлисской жизни и другихъ мѣстъ Кавказа и Закавказья). 7. Корреспонденціи изъ разныхъ мѣстъ Кавказа (отъ нашимъ корреспондентовъ). 8. Злободневныя фельетоны. 9. Судебный отдѣлъ. 10. Письма читателей. 11. Обзоръ печати (общей и кавказской). 12. Фельетоны (городской, обозрѣніе кавказской жизни, популярно-научный, историческіи, беллетристика иностранной и внутренней общественной жизни, журнальное обозрѣніе и др.). 13. Театръ и музыка. 14. По Росиі. 15. Смѣсь. 16. Справочный отдылъ и объявленія.

По понедѣльникамъ подписчикамъ будутъ разсылаться телеграммы съ справочнымъ отдѣломъ и объявленіями.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

На годъ: съ доставкой въ Тифлисѣ—5 р., съ пересылькой иногороднымъ—7 р.—за границу—12 р. На полгода: въ Тифлисѣ—3 р., для иногороднихъ—4 р. и заграницу—7 р. На 3 мѣсяца: въ Тифлисѣ—1 р. 75 к., для иногороднихъ— 2 р. 50 к. и заграницу—4 р. На одинъ мѣсяцъ: въ Тифлисѣ—75 к., для иногороднихъ—1 р. и заграницу—1 р. 50 к.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ на любой срокъ, но только съ 1-го числа каждаго мѣсяца, йсключительно въ конторѣ изданія. Головинскій проспектъ № 3.

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ: для Закавказья за мѣсто, занимаемое строкой петита передъ текстомъ—10 коп. и послѣ текста—5 к. Извѣшенія о зрѣлищахь печатаются на первой страницѣ по 20 к. за строку и на 4—по 10 коп. За объявленія въ справочномъ отдѣлѣ взимается по 8 к. за строку. Объявленія внѣ предѣловъ Закавказья принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго дома Л. и Э. Метцль и Комп. въ Москвѣ, Мясницкая, д. Ситова и въ отдѣленіяхъ его— С.-Петербургѣ, на Большой-Морской, № 11; въ Варшавѣ, Краковское предмѣстье № 53. по 24 к.—передъ текстомъ и 12 коп, послѣ текста. (Ђ. 3 2)

ნატურელ

თმის საღებავი

ჰოლლენდერ

არა მავნებელი და კარგი საღებავი თმისა; ღებავს ნამდვილ ფერად: შავად, წაბლისფერად და ქერად.

საღებავი ნატურელ არ აფუჭებს თმას. ფასი კოლოფისა 1 მ. და 50 კაპ., გაგზავნით ევროპის რუსეთში 2 მან. ისყიდება რუსეთის ყველა სააფთიაქო და საპარფიუმერიო მაღაზიებში. უმთავრესი საწყობი საღებავისა გამომგონებთანაა: სავაჭრო სახლი **„საპარფიუმერიო ლაბორატორია ი. ჰოლლენდერ“**, პეტერბურგი, რაზიეზჟაია ქ. 13. (4—6.—4)

Дозв. ценз. Тифлисъ 5 декабря 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა, (Электропеч. Груз. Изда.л Т—ва